

## ლექსების გარდა . . .

### ნიშნაინიძე რუსუდან

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: [rusudann@yahoo.com](mailto:rusudann@yahoo.com)

<https://doi.org/10.52340/lac.2023.30.12>

სიმონ ბერეჟიანი ქართული ემიგრანტული მწერლობის საინტერესო წარმომადგენელია. ლიტერატურათმცოდნეების ყურადღების არეალში მოექცა მისი როგორც გერმანიაში, ასევე, საფრანგეთში გამოცემული პოეტური კრებულები. თუმცა, ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზეც არაერთი საგულისხმო ტექსტია გამოქვეყნებული.

ამჯერად ყურადღება მინდა მივაქციოთ იმ საქმიანობას უცხოეთში, რამაც დიდი კვალი დააჩნია მის ცხოვრებას, თუმცა ვფიქრობ, მისი ტრავიკული ბიოგრაფიაც საბედისწეროდ განსაზღვრა.

სიმონ ბერეჟიანი წერდა ლექსებს, პოემას, აქვს დაუმთავრებელი რომანი „ნიკოლა“. მთელი არსებით იხარჯებოდა შემოქმედებითად: სხვადასხვა თემით, ასპექტით, გამომსახველობის საშუალებების ძიებით. მისი პოეზია საგულისხმოა არაერთი ეროვნული კოდითაც, რომელიც არაერთ ტექსტში გამოვლინდა როგორც მხატვრული გამომსახველობის მეტაფორული საშუალება. როგორც ვთქვით, სტატიაში ყურადღებას გავამახვილებთ იმ მოქალაქეობრივ აქტივობაზე, რომელსაც ახალგაზრდა „თეთრი გიორგის“ მოძრაობის წევრი ავლენდა.

ის კარიკატურებსაც ხატავდა; ოღონდ პოლიტიკურ კარიკატურებს, რომლებშიც თავის იდეოლოგიას დებდა. ისინი შემორჩენილია, მაგრამ დაკარგულია ფერწერული ტილო, რომელზეც მოგონებებში იწერებოდა. წერდა პოლიტიკურ პამფლეტებსაც.

სიმონ ბერეჟიანის ბიოგრაფიიდან არაერთი ფაქტია ცნობილი, როცა ის არა მხოლოდ შემოქმედებითად, (ანუ, როცა თავად წერს) იხარჯება და ეს ერთი სათქმელი და საფიქრალი საქართველოა, საზღვარს იქით დარჩენილი ქვეყანა, არამედ მაშინაც, როცა აკაკი წერეთელს ანსახიერებს სცენაზე, შოთა რუსთაველსაც. ილიას „მგზავრის წერილების“ ინსცენირებაშიც იღებს მონაწილეობას და ალექსანდრე ბატონიშვილისადმი მიძღვნილ თეატრალიზებულ სადამოზე საკუთარ ლექსსაც („ბატონიშვილს“) წაიკითხავს.

თამარ პაპავას წიგნის - „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“ მომზადების საქმეში არაერთმა მნიშვნელოვანმა ქართველმა სხვადასხვა ფორმით და დანიშნულებით მიიღო მონაწილეობა. სიმონ ბერეჟიანი წიგნის კორექტორი გახლდათ.

*კარგი მთხრობელიც იყო, გაიხსენებენ ემიგრაციაში მისი მეგობრები. ამბებსაც უამბობენ მკითხველებს. საქართველოში მეორე ინტერნაციონალის დელეგაციის ჩამოსვლასთან დაკავშირებით სახალისო ამბავს მოყვება. მის ამ უნარს სხვებიც ხაზგასმით აღნიშნავენ.*

*სიმონ ბერეჟიანის ბიოგრაფია და შემოქმედება ერთ მთლიანობაშია საინტერესოც და საგულისხმოც.*

### **საკვანძო სიტყვები:** სიმონ ბერეჟიანი, ქართული ემიგრანტული მწერლობა

ქართველი მეცნიერი დიმიტრი უზნაძე ერთ თავის ფუნდამენტურ ნაშრომში განიხილავდა რა შემოქმედებით პროცესსა და ცხოვრებისეულ რეალობაში მეხსიერების სხვადასხვა ფორმაზე ფანტაზიის გავლენას, ასეთ დასკვნას აკეთებდა: „ფანტაზია მეხსიერების არა მარტო ერთ ფორმაზე - მოგონებაზე ახდენს გავლენას. არა, იგი მეტად თუ ნაკლებად მეხსიერების მთელი მუშაობის გასწვრივ შეიძლება დადასტურდეს. თუმცა უნდა ითქვას, რომ მეხსიერების მუშაობის არცერთი ფორმა არ უქმნის მას ეგოდენ ხელსაყრელ პირობებს, როგორც მოგონება. ცოდნა... უფრო ნაკლებ პიროვნულია, უფრო ობიექტური, შედარებით უფრო ინდიფერენტული, ვიდრე მოგონება. ამიტომაც ფანტაზია არსად ისეთს გამანადგურებელ გავლენას არ ახდენს, როგორც ისტორიული მეხსიერების სფეროში“ [უზნაძე, 1940:466].

„გამანადგურებელი გავლენა“ - ფსიქოლოგიაში ამგვარი ფორმულირება თუ დიაგნოზი ალბათ, ყველაზე მძიმეა. თავის მხრივ, სრულიად დამოუკიდებლად მეორე მეცნიერიც - იუნგი, სწორედ ამგვარივე შედეგს წინასწარმეტყველებდა: „ისტორიულ სიზმრებს, - წერდა ის, ისევე, როგორც ყველა სიზმარს კომპენსატორული ფუნქცია აკისრია: ისინი მითითებია... რომ ესა თუ ის პირი თანხმობაში ვერაა თავის არაცნობიერ სიტუაციასთან, რომ სადღაც მან თავის ბუნებრივ გზას გადაუხვია... და საქმეს თუ არ მიხედა, უფსკრული გაღრმავდება... [და] შიგ გადაიჩეხება“ [იუნგი, 1995:290].

სიმონ ბერეჟიანი ქართული ემიგრანტული მწერლობის საინტერესო წარმომადგენელია. მასზე ბოლო წლებში არაერთგზის დაიწერა. ლიტერატურათმცოდნეების ყურადღების არეალში მოექცა მისი როგორც გერმანიაში, ასევე, საფრანგეთში გამოცემული პოეტური კრებულები. თუმცა, ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზეც არაერთი საგულისხმო ტექსტია გამოქვეყნებული.

ამჯერად ყურადღება მინდა მივაქციოთ იმ საქმიანობას უცხოეთში, რამაც დიდი კვალი დააჩნია მის ცხოვრებას, თუმცა ვფიქრობ, მისი ტრაგიკული ბიოგრაფიაც საბედისწეროდ განსაზღვრა.

სიმონ ბერეჟიანი წერდა ლექსებს, პოემას, აქვს დაუმთავრებელი რომანი „ნიკოლა“. მთელი არსებით იხარჯება შემოქმედებითად: სხვადასხვა თემით, ასპექტით, გამომსახველობის საშუალებების ძიებით.

ის კარიკატურებსაც ხატავდა; ოღონდ პოლიტიკურ კარიკატურებს, რომლებშიც თავის იდეოლოგიას დებდა.

წერდა პოლიტიკურ პამფლეტებსაც.

სიმონ ბერეჟიანის ბიოგრაფიიდან არაერთი ფაქტია ცნობილი, როცა ის არა მხოლოდ შემოქმედებითად ანუ, როცა თავად წერს, მუშაობს და ეს ერთი სათქმელი და საფიქრალი საქართველოა, საზღვარს იქით დარჩენილი ქვეყანა, არამედ მაშინაც, როცა აკაკი წერეთელს ანსახიერებს სცენაზე. მოგვიანებით, ერთი ქართველი ემიგრანტი უცხოეთში აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილ საღამოს გაიხსენებს, სადაც წაკითხულა ლექსები, „ცოცხალი სურათებიც“ წარმოუდგენიათ პოემიდან „გამზრდელი“, მაგრამ საზოგადოებას მოულოდნელობა წინ ელოდებოდა:

„ფარდა რომ გაიხსნა სცენაზე ცოცხალი აკაკი იდგა. გრიმი, კოსტუმი, ჯოხი და აკაკისებურად უკან გადახრილი თავი ოდნავ მაღლა მზირალი სახით. მაგრამ უფრო განსაცვიფრებელი იყო ამ მოხუცის მთრთოლვარე ხმა... სიმონიკამ აკაკის მხოლოდ ერთი ლექსი წაიკითხა.“

ერთ-ერთ დამსწრეთაგანს უნატრია:

„ასეთი რამ აკაკის სიცოცხლეში უნდა მოწყობილიყო. აღფრთოვანებული ყველაზე მხურვალე ტაშს თვით დაუკრავდაო“ [ქავთარაძე, 1978: 19].

ასეთივე ენთუზიაზმით იღებდა მონაწილეობას ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლის აღსანიშნავ საღამოზე, სადაც არა მხოლოდ ლექსები წაიკითხა, არამედ ორმოქმედებიან პიესად გადაკეთებულ დადგმაში „მგზავრის წერილები“ როგორც იგონებენ, დასამახსოვრებელი სახე შექმნა.

ალექსანდრე ბატონიშვილისადმი მიძღვნილ თეატრალიზებულ საღამოზე საკუთარი ლექსი („ბატონიშვილს“) წაიკითხა. შემდეგ თარის აკომპანიმენტით გრიშაშვილის „ტრიოლეტები“ და „ავლაბარი“ შეასრულა; და კალისტრატე სალია დაწერს: „საუცხოვო შთაბეჭდილება დასტოვა და რამდენიმე ხნით მაინც თავი ძველ ტფილისში გვაგრძნობინა“ [სალია, 1927:17].

„სამხედრო ფურცელი“ დაბეჭდავს ინფორმაციას, რომ მათი ორგანიზაციის, „თეთრი გიორგის“ ინიციატივით 15 ოქტომბერს შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი საღამო გამართულა. ფეხზე მდგომი დარბაზი ისმენდა ეროვნულ ჰიმნს, შემდეგ სიტყვებითაც გამოსულან. დასასრულ, „ლ. კერესელიძის ნაწარმოებიდან წარმოდგენილ იქმნა „თამარის და რუსთაველის სიყვარული“. თამარის როლში გახლდათ ლამაზი და მოხდენილი ელისო დადიანი. შოთას ანსახიერებდა ს. ბერეჟიანი“ [სარედაქციო, 1927: 28].

კარგი მთხრობელიც იყო. რომელ ამბებს ყვებოდა?! მიხილ ქავთარაძე მოიგონებს: „ერთი მის (*იგულისხმ. ს. ბერეჟიანი - რ.ნ.*) მიერ გაგონილი ამბავის თხრობა: საქართველოში რომ მეორე ინტერნაციონალის დელეგაცია ჩამოვიდა, ფასანაურში თუ ყაზბეგში ერთ რესტორან-სამიკიტნოში მათთვის სადილი გაუმართავთ. ოფიციალურ პირთა შემდეგ, მიკიტანსაც სიტყვის თქმა მოუსურვებიაო. სიმონიკა ამ სიტყვების შინაარსს ასე აღადგენდა: თქვენ, დიდებულო სტუმრებო, განათლებულ ევროპიდან ჩვენს ლამაზ საქართველოში მობრძანებულხართ. ჩვენც ჩვენი წესისამებრ მხიარული ღია გულითა გხვდებით. ხედავთ, როგორა ვცდილობთ ჩვენს კოხტა ქვეყანას მოვუაროთ. ბევრი რამ გვაკლია, მაგრამ არავის არაფერსა ვთხოვთ. ჩვენი მთავრობა მხოლოდ იმასა გთხოვთ, რომ გვიცნოთ, აბა, ეს რა დიდი სათხოვარია. ხომ ხედავთ ვარსებობთ, ხალხი ვართ, მიწა-წყალი გვაქვს და ქვეყანა. თუ კეთილს ინებებთ და გვიცნობთ, მადლობელი ვიქნებით თუ არა და პურმარილს მაინც არ დაგაყვედრით, ჩვენ ხომ ჩვენი თავი ვიცანით. და იმედია, იმას მაინც არ იტყვიან, საქართველო არ არსებობსო.

როცა ეს სიტყვები სტუმრებისათვის გადაუთარგმნიათ ერთ მათგანს თითქოს უთქვამსო: ეს კაცი მიკიტანი კი არ უნდა იყოს, ქვეყნის მეთაურად გამოდგებაო“ [ქავთარაძე, 1978: 26].

შორეული მონატრება გამოვლინების სხვადასხვა სახეს იღებდა. ბევრ საქმეს აკეთებდა, თანაც სრულიად განსხვავებულს. „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“, - ასე ჰქვია წიგნს, რომელიც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თამარ პაპავას შემოქმედებაში, არამედ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში. წიგნი ცოტა უჩვეულოდაც გამოიყურება: წითელ ხავერდში, ოქროსფერი ასოებით. იგი 1937 წელს დაიბეჭდა პარიზში. წინასიტყვაობაში ავტორი რამდენიმე ადამიანს უხდის მადლობას: ექვთიმე თაყაიშვილს, სამსონ ფირცხალავას, ვიკტორ ნოზაძეს და შალვა ამირეჯიბს - დახმარებისათვის, სიმონ ბერეჟიანს - კორექტურისათვის, დავით ხელაძეს - გამოცემისათვის; სხვებსაც. ეს თანამოაზრეთა ერთობლიობაა.

ამ განუწყვეტელ ფიქრს, ლექსის, რომანის თუ იუმორესკის წერას, გართობასაც კი ლამის მარადიულად ერთი მიმართულება და ხაზი გააჩნია. და თუ მეცნიერების მიერ ზემოგამოთქმულ მოსაზრებებს გავიზიარებთ, შესაძლოა, სამწუხაროდ, სავსებით

ლოგიკურად და ბუნებრივად მივიჩნით ის სულიერი აშლილობა და დაავადების ნიშნები, რომლებმაც მისი ცხოვრების ტრაგიკული დასასრული საბედისწეროდ განსაზღვრა.

ცელქი ნიავი ობოლს გამართობს:

ზღაპრებს მიაშობს ლეშს მწუხარესა.

მიწა ვიყავი, მიწად ვიქცევი..

დავუბრუნდები მშობელ მხარესა.

(„უკვდავება“) [ბერეჟიანი, 1943:38]

დავუბრუნდები?! ეგებ, მხოლოდ ფიზიკურად დასცილდა და ისიც ნაწილობრივ. აქ მისივე ნაამბობი ერთი ამბის ფრაგმენტი უნდა გავიხსენო - ვაჟა ფშაველა რომ ესტუმრა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიას და მოწაფეებთან ერთად ნერგების დარგვისას თავს რომ დასტრიალებდა ბიჭუნებს.

„ - არ დაიღალეთ, შვილებო, არ დაიღალეთ! ფესვებს გაუფრთხილდით, ფესვებსა!“ - ამ სიტყვებს იმეორებდა თურმე დიდი პოეტი [ბერეჟიანი, 1943:72]

სიმონ ბერეჟიანი საქართველოს სიყვარულში „დაიღალა“, ამასთან, არასოდეს მოსწყვეტია მის მშობლიურ ფესვებს.

ლიტერატურული რემინისცენციით (თუ გადაძახილით):

იმდერე გულო, დაკარგულო უცხო მხარეში.

რომ ჩავესვენოთ მზის დიდებით ბნელ სამარეში!

იტყვიან: მოკვდა, იქცა მიწად, მაგრამ ეს გული

იცხოვრებს მუდამ, ერის გულში გადანერგული.

(„გული“) [ბერეჟიანი, 1943:46]

უცხო მხარეში „დაკარგული“, დიდ თემებზე მოფიქრალი, მზის (*მზიანი დღეების*) მადიდებელი, ერის მეხსიერებაში დარჩენილი თეთრგვირგევი პოეტი...

სიმონ ბერეჟიანის ბიოგრაფია და შემოქმედება ერთ მთლიანობაშია საინტერესოც და საგულისხმოც.

### ლიტერატურა:

1. ბერეჟიანი ს.,- ნაწერები. გაზეთ „საქართველოს“ გამომცემლობა. ბერლინი. 1943. 75გვ.
2. იუნგი კ.გ., - ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები. სიზმრები. გამომცემლობა „დიოგენე“. თბილისი. 1995. 350გვ.

3. სალია კ.,- მოგონებები. კრებული „კავკასიონი“ XIX. 17-18გვ. პარიზი. 1978.
4. სარედაქციო., - სამხედრო ფურცელი. გაზეთი „თეთრი გიორგი“ #9 XII. 28გვ. პარიზი. 1927 დამატება
5. უზნაძე დ.,- ზოგადი ფსიქოლოგია. სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 1940. 501გვ.
6. ქავთარაძე მ.,- მოგონებები. კრებული „კავკასიონი“ XIX. 19-26გვ. პარიზი. 1978.

**Rusudan Nishnianidze**

Iv.Javakhishvili State University

### **Except for the Poems...**

#### Abstract

Simon Bereziani is an interesting representative of Georgian emigrant writing. It has been written about him many times in recent years. His poetry collections published both in Germany and France came to the attention of literary connoisseurs. However, a number of significant texts also have been published on the pages of magazines and newspapers.

This time I would like to pay attention to the activities abroad, which left a big mark on his life, although I think his tragic biography was fateful.

Simon Berezian wrote poems and also has an unfinished novel "Nikola". He spent his whole being creatively: with different themes, and aspects, searching for means of expression. His poetry is also significant in many national codes, which was revealed in many texts as a metaphorical means of artistic expression. As we said, in the article we will focus on that civic activity. which was shown by a member of the young "White George" movement.

He also drew caricatures; But political caricatures in which he put his ideology. They are preserved, but the canvas on which the memories were written is lost.

He also wrote political pamphlets.

Many facts are known from Simon Berezian's biography, when he not only spends his time creatively (that is, when he writes himself) and this is Georgia, the country left over the border, but also when Akaki Tsereteli plays Shota Rustaveli on stage. He also takes part in the staging of Ilya's "Traveler's Letters" and will also read his own poem ("To Batonishvili") at the theatrical evening dedicated to Alexander Batonishvili.

A number of important Georgians participated in the preparation of Tamar Papava's book - "Big Faces in Small Frames" in different forms and purposes. Simon Bereziani was the proofreader of the book.

He was also a good storyteller, and his friends in emigration will remember him. They also tell stories to the readers. There is an amusing story about the arrival of the delegation of the Second International in Georgia. Others emphasize this ability of his.

The biography and creativity of Simon Bereziani are both interesting and meaningful as a whole.

**რეცენზენტი:** პროფესორი სოფიო ნიკოლეიშვილი